

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების ტიპები, სახეობები და პროცენტული მნიშვნელობა დამოკიდებულია საბანკო სისტემის განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც იგი იმყოფება და ცენტრალური ბანკის მიზნებზე კონკრეტულ ვითარებაში, რაც გამომდინარეობს მისი მიმდინარე პრიორიტეტებიდან.

სწორედ აღნიშნული კოეფიციენტები გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ გარკვეული „თამაშის წესების“ მიღებას, რითაც დგინდება გარკვეული „ჩარჩოები“, რომელთა შიგნით უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კომერციულმა ბანკებმა. ეს ჩარჩოები წარმოადგენს „რისკების ზღვრებს“, რომელთა გარეთ გასვლა კონკრეტული ბანკისათვის უკვე სახიფათო რისკის ზონად ითვლება, რაც საფრთხეს უქმნის ბანკს, ანუ მის მენაბრეებს და აქციონერებს.

ასევე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ზედმეტად რისკიანი ოპერაციების შეზღუდვასა და ამით საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებას. მათი მეშვეობით ივლება გარკვეული „ნითელი ხაზები“, რომელთა გადალახვა კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ. თუ მათ სურთ თავიანთი საქმიანობის გაფართოება, ანუ „ნითელ ხაზებს“ იქით ლეგალურად გადასვლა და მათი გადანევა, ამის ერთადერთი გზა კაპიტალის გაზრდა და აქტივების ხარისხის ამაღლება, ანუ დაბალი რისკის დონის უზრუნველყოფაა.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს რისკმენეჯმენტი?
2. რა მიზნებს ემსახურება საბანკო ზედამხედველობა?
3. რას გულისხმობს ეფექტიანი რისკმენეჯმენტი?
4. რა მოთხოვნებს უყენებს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ეფექტიანი რისკმენეჯმენტის მიმართულებით?
5. რას გულისხმობს კომერციული ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა და რა ძირითად ელემენტებს მოიცავს იგი?
6. რა უნარ-ჩვევები უნდა ახასიათებდეს რისკების მართვის სამსახურში დასაქმებულ პერსონალს კომერციულ ბანკში?
7. რა იცით კომერციული ბანკის ეფექტიანი რისკმენეჯმენტის აუცილებელი ორი სტრუქტურული ერთეულის შესახებ?

8. რა შეგიძლიათ თქვით რისკების მართვის კომიტეტზე კომერციულ ბანკში?
9. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას?
10. შესაძლებელია თუ არა საბანკო რისკების საერთოდ გაქრობა და რას ითხოვს საბანკო რეგულაცია კომერციული ბანკებიდან ამ კუთხით?
11. რომელი ელემენტებისაგან შედგება რისკების მართვის პროცესი კომერციულ ბანკში?
12. რა შეიძლება ითქვას საბანკო რისკების მართვის პროცესის პირველი ეტაპის – რისკების დადგენის შესახებ?
13. როგორ დაახასიათებდით რისკების შეფასების ეტაპს და ამ დროს გამოყენებულ მეთოდებს?
14. როგორ უნდა დადგინდეს რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი?
15. რას გულისხმობს რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი?
16. რა შეგიძლიათ თქვით რისკების კონტროლზე კონკრეტული რისკის სამართავად?
17. რას გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების მართვა კომერციულ ბანკში?
18. როგორ დაახასიათებდით რისკების შეფასებას სტრესტესტების მოდელების გამოყენებით?
19. რომელი სამი მიმართულება გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას კომერციული ბანკების რისკების მართვისათვის?
20. რა შეგიძლიათ თქვით CAMELS-ის სისტემით საბანკო ზედამხედველობის შესახებ?
21. რომელ ძირითად მიმართულებებს მოიცავს საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით?
22. რას გულისხმობს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები?
23. რა იცით აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით მათი 4 კატეგორიის შესახებ?
24. ჩამოთვალეთ 0%-იანი საკრედიტო რისკდაქვემდებარებული I კატეგორიის აქტივები.
25. რას ნიშნავს საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები?
26. ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები რომელი სამი კომპონენტისაგან შედგება?

27. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შეგიძლიათ თქვათ ე.წ. „კაპიტალის კოეფიციენტებზე“?
28. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან როგორ დაახასიათებდით ე.წ. „სესხების კოეფიციენტებს“?
29. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შინაარსს ატარებს ე.წ. „ლიკვიდობის კოეფიციენტი“?
30. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შეგიძლიათ თქვათ ე.წ. „ინვესტიციების კოეფიციენტებზე“?
31. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან როგორ დაახასიათებდით ე.წ. „სავალუტო პოზიციის კოეფიციენტს“?